



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/1217-15

9 მარტი, 2016 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი,
მოსამართლეები - ნატალია ნაზლაძე, ბესარიონ ტაბაღუა

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრების ავტორები – ზ. მ., გ. მ.

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მარტის განჩინება გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მარტის განჩინებით, სს „ს. ბ.-ს“ განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2011 წლის 25 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების წესი განისაზღვრა იმგვარად, რომ სს „ს. ბ.-ს“ სასარგებლოდ ა. ჯ.-ს, ზ. მ.-ს და გ. მ.-ს სოლიდარულად დაკისრებული თანხიდან დარჩენილი დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა ა. ჯ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXXX), ზ. მ.-ს (პ/ნ



XXXXXXXXXXXX) და გ. მ.-ს (3/ნ XXXXXXXXXXXX) საკუთრებაში არსებული სხვა ქონება; სს „ს. ბ.-ს“ განცხადება შპს „გ. ი. გ.-ს“ მიმართ აღსრულების წესის შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივრები წარმოადგინეს ზ. მ.-მ და გ. მ.-მ.

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრების საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრულ წესსა და ვადას, ან მიიღებს ზომებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, ამის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილებაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267¹-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება განხილულ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეცნობება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ გადაწყვეტილება მიიღება განჩინების ფორმით. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეთა განცხადებები განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეცნობება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას. ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების შესახებ, აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების საშუალების ან წესის შეცვლის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით სს „ს. ბ.-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს „გ. ი. გ.-ს“, ა. ჯ.-ს, ზ. მ.-ს, ი. ჩ.-ს, გ. მ.-ს და ვ. ი.-ს სოლიდარულად დაეკისრათ 1746531,99 აშშ დოლარი. ასევე 2011 წლის 06 ივნისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 181,72 აშშ დოლარის გადახდევინება; დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკით დატვირთული შპს „გ. ი. გ.-ს“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე: ქ. თბილისი, ბ.-ს დასახლება, უ.-ს ქუჩა #X. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი #XX.XX.XX.XXX.XXX. იმ შემთხვევაში თუ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის საფუძველზე მიღებული



ანაზღაურება სრულად ვერ დაფარავს სს „ს. ბ.-ს“ მიმართ არსებულ დავალიანებას, თანხის ამოღება განხორციელდეს მოპასუხის სხვა ქონებიდან. (ტ. 2, ს.ფ 52-53).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი შპს „გ. ი. გ.-ს“, ა. ჯ.-ს, ზ. მ.-ს და გ. მ.-ს სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის განჩინებით დაუშვებლობის მოტივით განუხილველად დარჩა (ტ.3, ს.ფ. 44-46).

სასამართლო მიუთითებს, რომ 2007 წლის 18 ივნისის N50870X-X სს „ს. ბ.-ს“ და შპს „გ. ი. გ.-ს“ შორის საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 8.19 პუნქტში მითითებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან მიღებული თანხა საკმარისი არ იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მთლიანად დასაფარად, მსესხებელს ეკისრება პასუხისმგებლობა დავალიანების ნაშთზე (ტ.1. ს.ფ. 18). ამასთან, 2007 წლის 18 ივნისის ა. ჯ.-ს, გ. მ.-ს და ზ. მ.-ს მიერ შედგენილი იქნა წერილობითი განაცხადი სოლიდარული თავდებობის შესახებ, რომლის თანახმად, თავდები პირები სრულად აგებენ პასუხს სს „ს. ბ.-ს“ წინაშე N50870X-X საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე ძირითად მოვალესთან ერთად (ტ.1. ს.ფ. 77-79).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის მიხედვით, თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა.

პალატა განმარტავს, რომ თანხის დაკისრება სოლიდარული თავდებისთვის თავისთავად ნიშნავს იმას, რომ სოლიდარული მოვალე მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს. თანხის სოლიდარულად დაკისრების პირობებში, სოლიდარული მოვალის პრეტენზია ჯერ მოპასუხის ქონებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე, სოლიდარული ვალდებულების პრინციპიდან არ გამომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ სოლიდარული თავდები კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობით ძირითად მოვალეს უთანაბრდება, შესაბამისად, კანონი უშვებს სოლიდარული თავდებისათვის მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას ძირითადი მოვალისაგან შესაბამისი აღსრულების მცდელობის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, იპოთეკით დატვირთული ქონება რეალიზებულია, თუმცა, დავალიანება სრულად დაფარული არ არის. ასეთ ვითარებაში კრედიტორი უფლებამოსილია აღსრულება განაგრძოს, როგორც მოვალის დანარჩენ ქონებაზე, ასევე სოლიდარული მოვალეების ქონებაზე. შესაბამისად, პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებას სს „ს. ბ.-ს“ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე, ვინაიდან თვლის, რომ იგი ეფუძნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლსა და მხარეთა შორის არსებული გარიგების პირობებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ზ. მ.-ს და გ. მ.-ს კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მარტის განჩინება გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე დარჩეს უცვლელად.



ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251-ე, 301-ე, 377-ე, 390-ე, 393-ე, 394-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. გ. მ.-ს და ზ. მ.-ს კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მარტის განჩინება გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე;
3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნატალია ნაზდაიძე

ბესარიონ ტაბალუა